ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი

THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION

სამოქალაქო მონიტორინგი სატელევიზიო მედია სივრცეში ვითარების გაუმჯობესებისათვის

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი

THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

SAIA GYLA

Georgian Young Lawyers' Association

სამოქალაქო მონიტორინგი სატელევიზიო მედია სივრცეში ვითარების გაუმჯობესებისათვის

პროექტის დირექტორები: ლევან დოლიძე, გიორგი გოგსაძე
ავტორები: მარიამ გოგოსაშვილი, ნათია შენგელიძე

პროექტის ექსპერტი: მამუკა ანდღულაძე
პროექტის თანაშემწე: მაია მიქელაძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები: გიორგი გოგსაძე, კახა კოჟორიძე
რედაქტორი: დარეჯან ამირეჯიბი

ანგარიშის შინაარსი და მასში გამოთქმული მოსაზრებები ,,ლევან მიქელაძის სახელობის ფონდსა'' და ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას'' ეკუთვნის და ,,ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ პოზიციას არ გამოხატავს.

ISBN: 978-9941-0-5333-7

შინაარსი

პროექტის შესახებ 3

ძირითადი მიგნებები 4

შესავალი 5

მაუწყებლობის რეგულირება საქართველოში 7

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წლიური ანგარიში
და ბიუჯეტის დამტკიცება 8

კომისიის უფლებამოსილება საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვაზე 10

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა 11

არაერთგვაროვანი მიდგომა 12

ლიცენზიათა მოდიფიცირება 14

ლიცენზიათა მოდიფიცირება კანონმდებლობასთან შესაბამისობაში
მოყვანის მიზნით 16

შპს „სტერეო +“ 18

მომხმარებელთა უფლებები 22

Must Carry 24

კომისიის დადგენილება „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა
და მისი გამოყენების წესის შესახებ“ 27

ინტერესთა კონფლიქტი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში 28

რეკომენდაციები 30

პროექტის შესახებ

ლევან მიქელაძის სახელობის ფონდმა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ,ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, 2012 წლის აპრილიდან 2013 წლის თებერვლამდე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკული საქმიანობის მონიტორინგი განახორციელა. პროექტი მიზნად ისახავდა მაუწყებლობის რეგულირების მართლზომიერების დადგენასა და სატელე-ვიზიო მაუწყებელთა ინტერესების დაცვის ხელშეწყობას.

მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა საანგარიშო პერიოდში სატელევიზიო მედიის საკითხებზე (მაუწყებლებისა და მაუწყებლობის ტრანზიტის განმახორციელებელი საკაბელო ოპერატორების შესახებ) კომისიის მიერ მიღებული ყველა სამართლებრივი აქტი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამოქალაქო მონიტორინგი სატელევიზიო მედიასივრცეში ვითარების გაუმჯობესებისათვის 2011 წლის მაისიდან ხორციელდება.[1]

[1] http://mikeladzefoundation.org/multimedia/ups/satelevizio_mediis_regulireba_saqartveloshi.pdf.

ძირითადი მიგნებები

- ქართული კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს ერთი მხრივ, კომისიის დაკომპლექტების ისეთ მექანიზმებს, რომლებიც დაიცავს მარეგულირებელ ორგანოს პოლიტიკური ძალების გავლენისაგან და მეორე მხრივ, სამოქალაქო სექტორის ეფექტურ კონტროლსა და ჩართულობას კომისიის საქმიანობაზე. კანონმდებელი მკაფიოდ არ განსაზღვრავს, თუ რამდენად უფლებამოსილია კომისია, აკონტროლოს სატრანზიტო მაუწყებლების მიერ ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვა.

- კვლევის შედეგად კიდევ ერთხელ გამოიკვეთა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის - ბატონ ირაკლი ჩიქოვანის ინტერესთა კონფლიქტის საკითხი, რაც საფრხთეს უქმნის, როგორც კომისიის მიუკერძოებელ და ეფექტურ საქმიანობას, ასევე ტელეკომუნი-კაციების სექტორის განვითარებას.

- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მთელი რიგი გადაწყვეტილებები დისრკიმინაციულ ხასიათს ატარებს. სამწუხაროდ, კომისია არ არის აქტიურად ჩართული, როგორც „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მიმდინარე განხილვაში, ასევე, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ხელშეწყობისათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფებისა და საბჭოს საქმიანობაში.

შესავალი

2012 წელი საპარლამენტო არჩევნების წელი იყო, რომელიც მმართველ ძალასა და მძლავრ ოპოზიციურ გაერთიანებას შორის მძაფრი დაპირისპირებით გამოირჩეოდა. წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან გადადგმულმა ნაბიჯებმა ტელეკომუნიკაციის სექტროზეც მოახდინა ზეგავლენა. მოსახლეობის დიდ ნაწილს შესაძლებლობა არ ეძლეოდა ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მაუწყებლების წვდომა ჰქონოდა, მაშინ, როდესაც მმართველ ძალასთან ასოცირებული არხები მათი აბსოლუტური უმრავლესობისთვის იყო ხელმისაწვდომი. მაყურებლისათვის ალტერნატიული ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა შეიზღუდა, როდესაც არჩევნების წინა პერიოდში მოხდა "გლობალ ტვ-სა" და ტელეკომპანია "მაესტროს" კუთვნილი სატელიტური თეფშების საყოველ-თაოდ გახმაურებული დაყადაღება; განხორციელდა კომპანიების შემოწმება და დაჯარიმებები, რომლებიც ახლად შექმნილ ოპოზიციურ ტელევიზია – მე -9 არხს უკავშირდებოდა. თუმცა, იმავე 2012 წელს არასამთავრობო სექტორის ხანგრძლივი ადვოკატირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში „სავალდებულო ტრანზიტის" (Must Carry) პრინციპის შემოღება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკანომდებლო აქტი გახლდათ, რითაც მოსახლეობის დიდ ნაწილს, განსაკუთრებით რეგიონებში, ალტერნატიული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა მიეცა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელიც კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს ტელეკომუნიკაციის სექტორის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოა, ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ იქცა საზოგადოების კრიტიკის ობიექტად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კომისიამ მთელი რიგი დისკრიმინაციული ხასიათის გადაწყვეტილებები მიიღო, რაც, ცხადია, დადებითად არ აისახა ტელეკომუნიკაციის სექტორზე.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ინტერესთა კონფლიქტის საკითხი კიდევ ერთხელ აქტუალური გახდა 2012 წელს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კომისიის ყოფილი თანამშრომლის მიერ გამოქვეყნდა ფარული აუდიოჩანაწერი, რომელშიც სავარაუდოდ ირაკლი ჩიქოვანი ერთ-ერთი სამაუწყებლო ოპერატორის წარმომადგენელთან საუბრის დროს აცხადებდა, რომ ვერ შეძლებდა აღნიშნული კომპანიის საქმიანობისათვის ხელის დაფარებას. ირაკლი ჩიქოვანის მიერ საჯაროდ გაკეთებული განმარტების გარეშე 2012 წლის ნოემბრიდან „სამი თვით შვებულებაში გასვლამ“ დამატებითი კრიტიკა გამოიწვია.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონიტორინგის პერიოდში შეისწავლეს მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მაუწყებლობის სფეროში. კომისიის მიერ გადადგმულ პოზიტიურ ქმედებებთან ერთად გამოიკვეთა სხვა არაერთი პრობლემატური საკითხი, რომელთაც წინამდებარე ანგარიშის ცალკეულ თავში მიმოვიხილავთ.

მაუწყებლობის რეგულირება საქართველოში

საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ევროპული ინსტიტუტების რეკომენდაციების დიდ ნაწილს მაუწყებლობის მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის, საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშ-ვალდებულების შესახებ.

საქართველოს კანონით "მაუწყებლობის შესახებ" დაცულია კომისიის დამოუკიდებლობა. კანონში აღნიშნულია, რომ კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა საქმიანობაზე უკანონო ზემოქმედება და ამ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია, ხოლო ამგვარი ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება – ბათილი" (მე-6 მუხლის პირველი პუნქტი). აღნიშნული საკანონმდებლო აქტი აგრეთვე დეტალურად განსაზღვრავს კომისიის წევრთა და კომისიის აპარატის თანამშრომელების ინტერესთა კონფლიქტის საკითხებს. მათ შორის აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტად ითვლება, თუ იგი არის სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი, პოლიტიკური პარტიის წევრი, აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმიანობაც კომისიის რეგულირების სფეროს განეკუთვნება.

საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს კომისიის ანგარიშვალდებულების მექანიზმებს საქართველოს პარლამენტის წინაშე, ასევე, რაც კომისიას ვალდებულებას აკისრებს, ყოველწლიურად გამოაქვეყნოს და საჯაროდ განიხილოს გასული წლის საქმიანობის ანგარიში.

კომისია შედგება 5 წევრისგან, რომელთაც საქართველოს პარლამენტის თანხმობით თანამდებობაზე საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს. კომისიის წევრებიდან ერთი საპარლამეტო უმრავლესობის წევრია და ერთი კი დანიშნულია იმ საპარლამენტო ფრაქციის კვოტით, რომელიც უმრავლესობაშია გაერათიანებული.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წლიური ანგარიში და ბიუჯეტის დამტკიცება

,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომუნიკაციების ეროვნული კომისია არაუგვიანეს ყოველი წლის 1 ივნისისა აქვეყნებს და საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს წარუდგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშსა და ფინანსური აუდიტის შედეგებს. 2011 წლის წლიური ანგარიშის პროექტი კომისიამ ვებგვერდზე 2012 წლის 31 მაისს განათავსა. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებული იყო 1 ივნისის სხდომის დღის წესრიგი, ის არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ საკითხებს. ინფორმაცია წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე დამატებული არ ყოფილა კანონით დადგენილი წესით სხდომის დაწყებამდეც.

,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,კომისია ყოველი წლის 1 დეკემბრისთვის ამზადებს და აქვეყნებს მომავალი წლის ბიუჯეტს, რომელშიც ასახულია კომისიის ყველა ხარჯი, მათ შორის, კომისიისა და მისი აპარატის სახელფასო უზრუნველყოფის ხარჯები და აგრეთვე შემოსავალი.“ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2013 წლის ბიუჯეტი დაგვიანებით - 2012 წლის 7 დეკემბერს დაამტკიცა. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებული იყო 7 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგი, ის არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ საკითხს. ინფორმაცია ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე დამატებული არ ყოფილა კანონით დადგენილი წესით სხდომის დაწყებამდეც.

კომისიამ დაარღვია ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები, რომელთა თანახმადაც კომისია ვალდებულია 3 სამუშაო დღით ადრე გამოაქვეყნოს ინფორმაცია მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – სხდომის დახურვის შესახებ. გადაუდებელი

აუცილებლობისას კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაუცველად. ამ შემთხვევაში კომისია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს ინფორმაცია სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე. ნაკლებად სავარაუდოა ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის თემა სხდომის დაწყებამდე იმდენად მცირე დროში გადაწყვეტილიყო, რომ კომისიას ვერ მოესწრო კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყება.

მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტის მიღება (მითუმეტეს, რომ ის წინა წელთან შედარებით 727 ათასით გაიზარდა)[2], ისევე, როგორც წლიური ანგარიშის დამტკიცება, არის საკითხები, რომლებიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ცნობილი იყოს მათი განხილვის თარიღი, ამასთანავე, პროექტები უნდა განთავსდეს საიტზე გონივრული ვადით ადრე, რათა დაინტერესებულმა პირმა მოახერხოს გაცნობა და მათ განხილვაში მონაწილეობის მიღება.

[2] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=111872
http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=113408

კომისიის უფლებამოსილება საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილებაზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ჩვენს წინა ანგარიშშიც იყო ყურადღება გამახვილებული. საბოლოო დასკვნის სახით აღინიშნა, რომ გადაწყვეტილებებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევის გამო სანქცირების თაობაზე კომისია იღებს ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მხოლოდ იმ ზოგადი მუხლების საფუძველზე, რომლებიც მას ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებული საქმიანობის კონტროლისა და აღნიშნულ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევებზე რეაგირების უფლებამოსილებას ანიჭებს.

2012 წლის 1 თებერვლიდან ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში შევიდა ცვლილება, რომელიც ავალდებულებს ავტორიზებულ პირს კომისიის მიერ მოთხოვნილ ვადაში წარუდგინოს მას ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

გაურკვეველია კომისიის უფლებამოსილების დაზუსტება აღნიშნული ცვლილებით მოხდა, თუ კომისიამ ახალი ფუნქცია შეიძინა. მიგვაჩნია, რომ ,,ელექტრონული კომინიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტი (2012 წლის 18 იანვარს მოქმედი რედაქცია) ფართოდ განმარტების საშუალებას იძლეოდა და ეს ნორმა კომისიას მაშინაც აძლევდა საშუალებას ავტორიზებული პირებისთვის ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონ-მდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტები მოეთხოვა.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა

2006 წელს, „ჟენევა–06“ გეგმით ITU–მ (International Telecommunication Union), მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის და მათ შორის საქართველოსთვის ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო (Digital Terrestrial Television, DTT) მაუწყებლობაზე გადასვლის ბოლო ვადად 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა.

,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინადადებათა გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს და დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს წარუდგენს. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხების შემუშავება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შექმნილია სათათბირო ორგანო - ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საბჭო, რომელშიც მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად შედიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მედიასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე პირები, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლები და ექსპერტები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2012 წლის 30 ოქტომბერს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესთან დაკავშირებით წარმოადგინა საკუთარი ხ[3]ედვა. კომისიის მიერ წარმომადგენელი პრეზენტაციის ნაწილი დაეთმო[3] კომისიის მოსაზრებას, თუ რა მოდელით უნდა გადავიდეს საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე.

[3] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=2101&info_id=113188

მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი იქნება თუ კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში: მოამზადებს რეკომენდაციებს, დააფიქსირებს საკუთარ პოზიციას მაუწყებლობის ლიცენზიების თაობაზე, მითუმეტეს, რომ კომისია აგრძელებს მაუწყებლებისთვის ლიცენზიის გაცემასა და მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას. ლიცენზიის გაცემა და ვადის გაგრძელება 10 წლის ვადით ხდება, მაშინ, როდესაც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამდე 2 წელზე ცოტა მეტია დარჩენილი. ახლა მაუწყებლები 10 წლის საფასურს იხდიან, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდგომ კი აღნიშნული ურთიერთობები შესაძლებელია სხვაგვარად მოწესრიგდეს.

არაერთგვაროვანი მიდგომა

2012 წლის 10 აპრილს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შპს ,,მაგთიკომი" შეცდომაში შემყვანი რეკლამისთვის 90 000 ლარით დააჯარიმა.[4]

კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ შპს „გლობალ მედია ჯგუფის" მიერ კომისიაში წარმოდგენილი იყო განცხადება, რომელიც იტყობინებოდა, რომ ,,მაგთიკომი" არასათანადო რეკლამას ავრცელებდა. ამ საფუძველზე დაყრდნობით კომისიაში 2012 წლის 3 აპრილს დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება შპს „მაგთიკომის" სანქცირების თაობაზე.

კომისიამ ამავე გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ შპს ,,გლობალ მედია ჯგუფის" განცხადებაში აღნიშნული შპს „მაგთიკომის" სამაუწყებლო სარეკლამო რგოლის ჩვენება 2012 წლის 1 აპრილს, წარმოების დაწყებამდე შეწყდა.

[4] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=112432

კომისიამ 2010 წლის 24 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც დარღვევის აღმოფხვრის გამო, კომისიის მხრიდან რეაგირების გარეშე დარჩა ,,რუსთავი 2“-ის მიერ ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად იკრძალება ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და წინასაარჩევნო დებატების პროგრამის წამყვანის ან ჟურნალისტის ნებისმიერი სახით მონაწილეობა რეკლამაში ან ტელეშოპინგში. კერძოდ ის ფაქტი, რომ ნინო შუბლაძე, ერთ-ერთი რეიტინგული გადაცემის “პოზიციის” წამყვანი და ტელეკომპნაიის ერთ-ერთი სახე, მონაწილეობას იღებდა ჩაჩავას კლინიკის რეკლამაში, რომელიც გადიოდა ტელეკომპანიის ეთერში.

შესაბამისად, ამ ორ შემთხვევაში იკვეთება ორი სუბიექტისადმი ერთსა და იმავე (რეკლამის) საკითხზე განსხვავებული მიდგომა. ერთ შემთხვევაში, კომისია მიიჩნევს, რომ დარღვევის აღმოფხვრა წარმოების შეწყვეტის საფუძველია, ხოლო მეორე შემთხვევაში, არ ითვალისწინებს აღმოფხვრის ფაქტს და ასანქცირებს მას. ზემოაღნიშნული ქმედება კი ცალსახად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის დარღვევაა, რომელიც კანონის წინაშე თანასწორობას ითვალისწინებს.

ლიცენზიათა მოდიფიცირება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45–ე მუხლის I პუნქტის თანახმად, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს:
ა) საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროში პრიორიტეტებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა;
ბ) კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან დამატებების შეტანის თაობაზე.

2008 წლის 22 მაისს კომისიამ მიიღო #279/22 გადაწყვეტილება[5], რომელშიც აღინიშნა, რომ ქვეყანაში ტელერადიოსამაუწყებლო ბაზარზე ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, კომისია ლიცენზიათა გაცემისას ვეღარ იხელმძღვანელებს ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებით, ვინაიდან მათი მოქმედების კანონით დადგენილი ორწლიანი ვადა გასულია.

ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ,,ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებში ცვლილებების შეტანა ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს მოქმედ ლიცენზიებში ცვლილება-დამატებების შეტანის საფუძველსაც. გამომდინარე იქიდან, რომ კომისიაში შემოსულია განცხადებები (კერძოდ შპს ”სტუდია მაესტროს” 2008 წლის 8 აპრილის განცხადება) ლიცენზიის სახეობის მოდიფიცირების მოთხოვნით, რაც თავის მხრივ ეფუძნება კომისიისათვის უცნობ გამოკვლევებს, კომისიას მიაჩნია, რომ ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების დადგენა უკვე გაცემულ სამაუწყებლო ლიცენზიათა სახეობის შეცვლისა და ამ მიზნით ლიცენზიის სახეობის მოდიფიცირების საკითხების საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად დარეგულირებასაც შეუწყობს ხელს.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2011 წლამდე მაუწყებლობის ლიცენზიების გაცემასთან ერთად შეჩერდა მათი მოდიფიცირებაც, თუ ეს ლიცენზიათა სახეობის შეცვლას ეხება.

[5] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=6014

ლიცენზიათა მოდიფიცირება

,,სტუდია მაესტრომ“ აღნიშნული ფაქტი სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოში მაესტროსა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის თანახმადაც კომისიამ ვალდებულება აიღო უზრუნველეყო ,,სტუდია მაესტროს“ ლიცენზიის მოდიფიცირება,[6] რითაც თავისსავე მიღებულ აქტს დაუპირისპირდა.

ანალოგიური გადაწყვეტილება[7] (137/2) იქნა მიღებული ტელეკომპანია ,,მზის“ მიმართაც. კომისიამ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლი, რომლის შესაბამისადაც არ სურდა თავის რეგულირების სფეროში შემავალი სუბიექტები განსხვავებულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა. კომისიამ ლიცენზიის მოდიფიცირება 2008 წლის 22 მაისიდან 2011 წლის 8 აპრილამდე ასევე განხორციელა შემდეგ სამაუწყებლო არხებზე:

1. „რუსთავი2“[8]-მა (555/2) განხორციელდა კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის იმგვარი ცვლილება, რომლის თანახმადაც კომპანიას მიეცა შესაძლებლობა ლიცენზიით გათვალისწინებული სამაუწყებლო ბადე საკაბელო ქსელის მეშვეობითაც გაევრცელებინა.[9]
2. ტელეკომპანია ,,საქართველოს“ ლიცენზიის მოდიფიცირება იმგვარად მოხდა, რომ მას შეძლებოდა სატელევიზიო სიგნალის თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების მეშვეობით გავრცელება; მოგვიანებით კი მიეღო მაუწყებლობის განხორციელების უფლება საკაბელო ქსელის გამოყენებითაც.[10]

---

6 http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=6690
7 http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=7029
8 http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=8721
9 http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=8538
10 http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=8736

ლიცენზიათა მოდიფიცირება კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით

,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 76-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, კომისიას ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან 1 წლის განმავლობაში უნდა განეხორციელებინა გაცემული ლიცენზიების მოდიფიცირება კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველ-ყოფის მიზნით, მათ შორის, მაუწყებლების ვალდებულებებთან დაკავ-შირებითაც. 2006 წელს (№527/2) კომისიამ განახორციელა კიდეც რიგი სამაუწყებლო არხების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2008 წლის 22 მაისიდან 2011 წლის 8 აპრილამდე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 76–ე მუხლის მე–12 პუნქტის საფუძველზე მოახდინა ლიცენზიის მოდიფიცირება რამდენიმე სამაუწყებლო არხზე, მათ შორის იყო:

1. შპს ,,ტელესამაუწყებლო კომპანია მეცხრე არხი“ [11]
2. შპს ,,ტელეკომპანია აისი“ [12]
3. შპს ,,გლობალ მედია ჯგუფი“ [13]

ის ფაქტი, რომ შპს ,,ტელესამაუწყებლო კომპანია მეცხრე არხის,“ შპს ,,ტელეკომპანია აისისა“ და შპს ,,გლობალ მედია ჯგუფის“ ლიცენზიები 1 წლის მანძილზე კანონმდებლობასთან შესაბამისობაში არ იქნა მოყვანილი, კომისიამ იმ მიზეზით ახსნა, რომ თავად ამ კომპანიებს არ მიუმართავთ ლიცენზიის მოდიფიცირების, კანონთან შესაბამისობაში მოყვანისა და ლიცენზიის სახისა და სახეობების დაზუსტების თაობაზე. 2010 წელს კომპანიებმა დააზუსტეს მათ მიერ განხორციელებული მაუწყებლობის სახე და სახეობა, რის საფუძველზედაც კომისიამ მოახდინა მათი ლიცენზიების მოდიფიცირება.

---

[11] http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=6941
[12] http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=6945
[13] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=8725

შპს ტელესამაუწყებლო კომპანია ,,მეცხრე არხის, შპს ტელეკომპანია ,,აისისა“ და შპს ,,გლობალ მედია ჯგუფის“ კუთვნილი ლიცენზიების მოდიფიცირება კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით არ უნდა გამართლდეს, ვინაიდან ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 76-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, ლიცენზიის კანონ-მდებლობასთან შესაბამისობა კომისიას უნდა განეხორციელებინა კანონმდე-ბლობის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში. როგორც კომისია აღნიშნავს, თავისი ზემოაღნიშნული კანონით დადგენილი ვალდებულება მხოლოდ იმის გამო არ განუხორციელებია, რომ კომპანიებს თავად არ მიუმართავთ ლიცენზიის სახის დაზუსტების მოთხოვნით. შესაბამისად, ისინი წლების განმავლობაში ახალ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ლიცენზიით საქმია-ნობდნენ. კომისიისთვის ზემოაღნიშნული ინფორმაცია ცნობილი უნდა ყოფილიყო, თუმცა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ნათელია, რომ სანამ თავად მაუწყებელმა არ მიმართა, კომიასიას შესაბამისი რეაგირება არ მოუხდენია.

მოცემულ შემთხვევაში გამოიკვეთა შემდეგი პრობლემა: კომისიას შპს ტელესამაუწყებლო კომპანია ,,მეცხრე არხის,“ შპს ტელეკომპანია ,,აისისა“ და შპს ,,გლობალ მედია ჯგუფის“ ლიცენზიების მოდიფიცირება კანონმდე-ბლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით არ განუხორციელებია კანონით დადგენილ ვადაში.

შპს „სტერეო +“

2012 წლის 6 ივნისს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის (NF13) პირობების დარღვევისათვის შპს „სტერეო + “-ს გაფრთხილება მისცა. ასევე კომისიამ, შპს „სტერეო+“-ს ავტორიზაციის გარეშე საქმიანობისა და რადიოსიხშირული სპექტრით მინიჭების, ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე სარგებლობისათვის 5 000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.[14]

სანქციას საფუძვლად დაედო შემდეგი გარემოება:

2012 წლის 4 ივნისს, მასობრივი ინფორმაციების საშუალებებითა და სოციალური ქსელების მეშვეობით კომისიამ შეიტყო, რომ 2012 წლის 4 ივნისის საღამოდან, ტელეკომპანია “მეცხრე არხის” მაუწყებლობა, თბილისში მეტრულ სიხშირეზე, სატელევიზიო ანტენების საშუალებით გახდა შესაძლებელი. შპს „მეცხერე არხის“ დირექტორის, კახი ბექაურის განცხადებით, ტელეარხმა მაუწყებლობის დაწყება კომპანია “სტერეო +” – სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეძლო.

კომისიის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ „მეცხრე არხის“ სამაუწყებლო პროგრამების გავრცელება შპს „სტერეო +“-ს კუთვნილი NF13 ლიცენზიით გათვალისწინებული 71.0 მჰც ±3 მჰც სიხშირული სპექტრით, ასევე რადიოსიხშირული სპექტრით (66.8 მჰც - 74.0 მჰც) ხორციელდებოდა. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შპს „მეცხრე არხის“ სატელევიზიო მაუწყებლობა ხელმისაწვდომი გახდა ბოლო მომხმა-რებლებისთვის თავისუფალ ეთერში, ე.წ. „ღია ლინკის“ საშუალებითაც.

NF13 ლიცენზია არ ანიჭებს შპს „სტერეო +“-ს სამაუწყებლო სიგნალის ბოლო მომხმარებლისათვის თავისუფალი და შეუზღუდავი მიწოდების უფლებამოსილებას. NF13 ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, უზრუნველყოს მაუწყებლობის განმახორციელებელი პირების ფიქსირებული

[14] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=112606

ან/და მობილური სადგურ(ებ)იდან მიღებული ციფრული აუდიო/ვიდეო მონაცემების მეორე ფიქსირებულ/მობილურ სადგურ(ებ)ში მიღება/გადაცემის მომსახურება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სტერეო +“-ს არც რადიო-სიხშირული სპექტრის 66.8 მჰც - 68.0 მჰც გამოყენების უფლებამოსილება მოეპოვება.

„სტერეო +“-ს დირექტორმა (დავით ზილფიმიანი) არ უარყო რადიოსიხშირული სპექტის 66.8 მჰც - 68.0 მჰც გამოყენების ფაქტი. მან ასევე აღნიშნა, რომ იგი დაუყოვნებლივ განახორციელებდა იმ გადაცდომის აღმოფხვრას, რაც გამოვლინდა მონიტორინგის შედეგად და შესაბამისად, დაუყოვნებლივ შეწყვეტდა რადიოსიხშირული სპექტრის 66.8 მჰც - 68.0 მჰც გამოყენებას. მან ასევე განმარტა, რომ ეს შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო იმ გარემოებებით, რომლებიც განვითარდა ბოლო პერიოდში ,,სტერეო +“-ში. როგორც დავით ზილფიმიანმა განაცხადა ის ფილტრები, რომლებიც არეგულირებდნენ, რომ არ მომხდარიყო სხვა სიხშირულ ზოლში გადასვლა დაზიანებული დახვდა. კომისიამ არ იმსჯელა აღნიშნულ გარემოებებზე, რითაც დაარღვია 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილების 38-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმად,,,კომისია ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა საქმის განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ბრალეულია თუ არა პირი, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები; აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისთვის.“

დავით ზილფიმიანმა ასევე განაცხადა, რომ თუ აღნიშნული გადაცდომის აღმოფხვრის შემდეგ, შპს „მეცხრე არხის“ სამაუწყებლო პროდუქცია მაინც ხელმისაწვდომი იქნებოდა ღიად ბოლო მომხმარებლის - აბონენტისთვის, ამაზე პასუხისმგებლობას შპს „სტერეო +“, ვერ აიღებდა, ვინაიდან ახალი თაობის მიმღებ აპარატურას (ტელევიზორებს) აქვს BG სტანდარტის სიგნალის აღქმის შესაძლებლობა და სწორედ აქედან გამომდინარე შპს „მეცხრე არხის“

სამაუწყებლო პროდუქცია ხელმისაწვდომია ბოლო მომხმარებლისთვის, რაც თავისთავად არ წარმოადგენს მაუწყებლობის ტრანზიტს.

აღნიშნულის დასამტკიცებლად დავით ზილფიმიანმა იშუამდგომლა ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, თუმცა კომისიამ გადაწყვიტა, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან საექსპერტოდ ჩამოყალიბებული კითხვა არარელევანტურია შპს „სტერეო +"–ს მიერ საკითხის განხილვასთან მიმართებით. მოგვიანებით კომისიამ შპს „სტერეო+"-ს შესახებ მედიაში გავრცელებული სხვადასხვა ინფორმაციების გათვა-ლისწინებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და კომუნიკაციების ფაკულტეტს მიმართა და ტექნიკური დასკვნა კიდევ ერთი მტკიცებულების სახით მოითხოვა. ზემოაღნიშნული დასკვნა ამყარებს კომისიის პოზიციას, თუმცა მას მეორე მხარე ამჯერადაც არ ეთანხმება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუ-ნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილების 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, გაფრთხილებისა და დაჯარიმების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება იწყება კომისიის მიერ ადმინი-სტრაციული წარმოების დაწყების შესახებ დაინტერესებული მხარისათვის შეტყობინების გაგზავნის (დაზღვეული საფოსტო გზავნილით ან ტელე-ფონოგრამით) მომენტიდან.

შეტყობინება, რომელიც დავით ზილფიმიანს 5 ივნისს დაახლოებით 20:00 საათზე ჩაბარდა, ზოგადი ხასიათს ატარებდა და მკაფიოდ არ იკვეთებოდა ის ფაქტი, რომ საკითხი სანქციის დაკისრებას ეხებოდა და რომ წარმოება აღნიშნული საკითხის თაობაზე უნდა დაწყებულიყო.

2012 წლის 6 ივნისს ,,სტერეო +“-ს გადაეგზავნა ადმინისტრაციული წარმოების მასალები, კერძოდ, კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი – 000183 და შემოწმების აქტი – 10,რომელიც ჩაბარდა შპს „სტერეო +“-ს დირექტორის მოადგილეს მალხაზ კვარაცხელიას სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე.

ზემოაღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მხარეს არ მიეცა გონივრული ვადა გაცნობოდა სამართალდარღვევათა ოქმსა და შემოწმების აქტს, მოემზადებინა შესაბამისი არგუმენტები და წარედგინა სათანადო მტკიცებულებები, რითაც დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლის მოთხოვნები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2012 წლის 26 ოქტომბერს შპს ,,სტერეო +” კვლავ დაასანქცირა. აღნიშნული კომპანია 3000 (სამი ათასი) ლარით დააჯარიმა ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF13 ლიცენზიის სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო.[15]

რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის თანახმად, მონიტორინგის შედეგად შპს ,,სტერეო +”-ის მიერ NF13 ლიცენზიით განსაზღვრული 71.0 მჰც ±3 მჰც (68.0 მჰც-74.0 მჰც) სიხშირული ზოლიდან გასვლა არ დაფიქსირებულა. თუმცა დადგინდა, რომ შპს ,,სტერეო +” NF13 ლიცენზიით გათვალისწინებულ 71.0 მჰც ±3 მჰც (68.0 მჰც-74.0 მჰც) რადიოსიხშირულ სპექტრს იყენებს არადანიშნულებისამებრ, კერძოდ, სამაუწყებლო სიგნალის ტრანზიტისთვის ბოლო მომხმარებლის მიერ სამაუწყებლო სიგნალის ღია შეუზღუდავი მიღებით, რაც გახლავთ „ელექტრონული კომუნიკაციების

[15] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=113243

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ბ) ქვეპუნქტისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF13 ლიცენზიის სალიცენზიო პირობების დარღვევა.

შპს ,,სტერეო +”-ის დირექტორის დ.ზილფიმიანის ახსნა-განმარტებით, რომელიც დაფიქსირებულია შემოწმების აქტში, შპს ,,სტერეო +”-ს კანონი არ დაურღვევია, ვინაიდან: ,,NF13 ლიცენზიაში განსაზღვრული (მითითებული) არ არის მომსახურების კონკრეტული ტიპი, კერძოდ, არაფერია ნათქვამი მოძრავი ან/და ფიქსირებული რადიოხაზებით მომსახურებისათვის რაიმე ტიპის შეზღუდვის შესახებ, ხოლო ფრაზა ,,მოძრავი ან/და ფიქსირებული” მოიაზრებს ყველა საერთაშორისო ნორმატივით ნებისმიერი სახით და ტექნოლოგიით გამოსხივებას. მაუწყებლობის დეფინიცია მოიცავს შემდეგს: კონტენტის შექმნა და მიწოდება (”content creation and delivery”). ამიტომ ის ფაქტი, რომ შპს ,,სტერეო +” მომსახურებას ახდენს სიგნალის მიწოდებით, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მას მაუწყებლობა ეწოდოს.”

მომხმარებელთა უფლებები

,,დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში უნდა მოქმედებდეს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი. აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე რამდენიმე წელია მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის აპარატი ფუნქციონირებს, თავად საზოგადოებრივი დამცველი არ არის დანიშნული.

2012 წლის 30 ოქტომბერს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის აპარატში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მესამე რუსულენოვანი არხის შპს „ტელეკომპანია პიკის“ მიერ ახალი ამბების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების შეწყვეტის გამო საჩივარები შევიდა. კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ფორმალური წარმოების

დაწყების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული საკითხი თვითრეგულირების მექანიზმების ფარგლებში უნდა გადაწყვეტილიყო.[16]

გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ ერთ-ერთი მოქალაქე თავის განცხადებაში ითხოვდა, შპს ,,ტელეკომპანია პიკის" ეთერში რუსულენოვანი საინფორმაციო გადაცემების აღდგენას. კომისიამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან იგი კომპანიის სანქცირებას არ ითხოვს, ხოლო კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათიდან ირკვევა, რომ 2012 წლის 19 ნოემბრიდან შპს ,,ტელეკომპანია პიკის" ეთერში რუსულენოვანი საინფორმაციო გადაცემები აღდგენილია, წარმოების დაწყება არც ამ საკითხზე არის მიზანშეწონილი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2012 წლის ოქტომბერში სსიპ ,,საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" და შპს ,,ტელეკომპანია პიკმა" ურთიერთობა გაწყვიტეს. ამ ფაქტმა ,,ტელეკომპანია პიკის" ეთერში, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების შეჩერება გამოიწვია, ვინაიდან მოხდა ჟურნალისტების გათავისუფლება. მოგვიანებით კი ეთერი დაეთმო წინა პერიოდში მომზადებულ მასალებს.

,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მეორე მუხლის ,,ძ" ქვეპუნქტის თანახმად, რეგულირება არის ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში კომისიის მიერ სამართლებრივი აქტების მიღება (გამოცემა), მონიტორინგის, ზედამხედველობის, კონტროლისა და კოორდინაციის განხორციელება. შესაბამისად კომისიის გადაწყვეტილებაში იმაზე მითითება, რომ მხარე არ ითხოვს სანქცირებას, არასწორია. გარდა ამისა, ფაქტია, რომ დარღვევა დაფიქსირებული იყო. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კომისიას ჰქონდა შესაძლებლობა გამოეკვლია ფაქტობრივი გარემოება, შეესწავლა, ასრულებდა თუ არა ,,ტელეკომპანია პიკის" კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებას და ა.შ. თუმცა, კომისიამ აღნიშნული ბერკეტი არ გამოიყენა.

[16] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=113465

MUST CARRY

ბოლო წლების განმავლობაში ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ მთელ რიგ მაუწყებლებს პრობლემები ჰქონდათ საკუთარი პროგრამების გავრცელებასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის ტელევიზია ინფორმაციის მთავარ წყაროს წარმოადგენდა.[17] იმავდროულად ყოფილი მმართველი პარტიის მიმართ კეთილგანწყობილ საერთო ეროვნულ მაუწყებლებს ქვეყნის დიდი ნაწილის დაფარვის შესაძლებლობა ჰქონდათ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ სიხშირული მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის შეჩერების შემდეგ კერძო ტელევიზიების გავრცელების ერთადერთ საშუალებად მაუწყებლობაზე ავტორიზებული ოპერატორები რჩებოდნენ, რომლებიც სამწუხაროდ, ყველა მაუწყებელს, განსაკუთრებით ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ არხებს, საკუთარ გადაცემათა პაკეტებში არ ათავსებდნენ.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა აქტიური კამპანიის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საარჩევნო კოდექსში, რომლის მიხედვითაც არჩევნების თარიღის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის მომენტიდან არჩევნების დღემდე მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებულია მომხმარებლისათვის შეთავაზებულ პაკეტში განათავსოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ლიცენზირებული საერთო მაუწყებელი, მაუწყებელი, რომელიც ხელმისაწვდომია მოსახლეობის

[17] იხ. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის 2011 წლის ანგარიში მედიის შესახებ, http://www.crrc.ge/oda/?dataset=7&row=22&column=1.

არანაკლებ 20%-ისათვის.[18] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას კი დაევალა ე.წ. “Must Carry”-ს პრინციპის აღსრულების რეგულირება.

„სავალდებულო ტრანზიტის“ საკანომდებლო პრინციპი საქართველოში მოქმედმა ოპერატორებმა მნიშვნელოვანი დარღვევებისა თუ შეფერხებების გარეშე უნდა განახროციელოს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ არაერთი შეხვედრა-კონსულტაცია გამართა ახლადმიღებული პრინციპის აღსრულებასთან დაკავშირებით. თუმცა კომისიის ქმედებები მთელ რიგ შემთვევებში არ იყო ეფექტური.

საარჩევნო კოდექსში ცვლილებები ძალაში შევიდა 2012 წლის 16 ივლისს. კომისია ვალდებული იყო ერთი კვირის ვადაში გამოექვეყნებინა ინფორმაცია იმ ოპერატორებისა და მაუწყებლების შესახებ, რომლებზედაც „სავალდებულო ტრანზიტის“ მოთხოვნები ვრცელდებოდა. თუმცა მარეგულირებელმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია დაგვიანებით და არასრულად მხოლოდ 1 აგვისტოს გამოაქვეყნა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ Must Carry-ს მოქმედების ვალდებულება წინასაარჩევნო პერიოდზე ვრცელდებოდა და ყოველ დღეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დაგვიანებით გამოქვეყნებული ინფორმაცია ნამდვილად არ მიიჩნევა კომისიის მიერ ეფექტურ საქმიანობად.

---

[18] ამონარიდი კანონიდან: “ „არჩევნების თარიღის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის მომენტიდან არჩევნების დღემდე პერიოდში მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებულია მომხმარებლისათვის შეთავაზებულ პაკეტში განათავსოს საზოგადოებრივი მაუწყებელი , „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიცენზირებული საერთო მაუწყებელი, რომელიც მაუწყებლობს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის მომსახურების მიწოდების ზონაში (თანამგზავრული მაუწყებლობისათვის მაუწყებლობის ზონა ამ მუხლის მიზნებისათვის არის საქართველოს მთელი ტერიტორია), აგრეთვე საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 2 0%-ისათვის; ამ შემთხვევაში მაუწყებელს არ წარმოეშობა მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირისგან მაუწყებლის არხის ტრანზიტული გავრცელებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ხოლო მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებულია მომხმარებლისათვის უზრუნველყოს ამ პუნქტით განსაზღვრული მაუწყებლების არხების თანაბარი და არადისკრიმინაციული ფინანსური პირობებით მიწოდება“.“

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მაუწყებლების მიერ ავტორიზებული ოპერატორებისათვის წერილობითი შეტყობინების ვალდებულებას არხის მომხმარებელთათვის გათვალისწინებულ პაკეტებში განსათავსებლად. თუმცა კომისიის მიერ ოპერატორებთან შეხვედრისას გაკეთებულმა განმარტებამ სავალდებულო მიმართვასთან დაკავშირებით წინასაარჩევნო პერიოდში გაუგებრობა გამოიწვია. რამდენიმე ავტორიზებულმა პირმა უარი განაცხადა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი არხების განთავსებაზე შესაბამისი მიმართვის გარეშე, რაც შემდგომში დავისა და კომისიაში საჩივრების განხილვის საგანი გახდა.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპერატორებმა გააგრძელეს მაუწყებელთა გავრცელება მიუხედავად იმისა, რომ „სავალდებულო ტრანზიტის“ პრინციპი მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში მოქმედებს. მისასალმებელია ოპერატორების ეს პოზიცია, მაგრამ პერმანენტული სავალდებულო ტრანზიტის ნორმების არსებობა კანონმდებლობაში მეტად ყურადსაღები და მნიშვნელოვანი გახლავთ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ამ პრინციპის შემოღება მოხდეს არა მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში, არამედ სხვა დროსაც და დეტალურად აღიწეროს ,,must carry“-ს მოქმედება, რაც უნდა აისახოს ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებში.

აღსანიშნავია, რომ საინიციატივო ჯგუფმა - ,,კოალიცია მედია ადვოკატირებისათვის“, აღნიშნული საკითხების მოწესრიგების მიზნით პარლამენტში კანონპროექტი წარადგინა.

კომისიის დადგენილება „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის შესახებ“

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, წინასაარჩევნოდ მედიამონიტორინგის განხორციელება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ფუნქციაა. 2012 წლის 15 აგვისტოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო დადგენილება „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენებს წესის შესახებ“. აღნიშნული აქტით განისაზღვრა საარჩევნო პროცესში მაუწყებლებისა და ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთების მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და რეკლამის განთავსების წესები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია დადგენილებებს იღებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. დაინტერესებულ პირებს მიეცათ შესაძლებლობა წარედგინათ საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები კომისიის მიერ გამოქვეყნებულ პროექტში - „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის შესახებ“. აღნიშნული აქტის მიღების პროცესში მონაწილეობდნენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის წარმომადგენლები. დადებითად უნდა შეფასდეს კომისიის ქმედება, როდესაც მან გაითვალისწინა ,,საიას“ მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან საარჩევნო საკითხებზე თვითრეგულირების ორგანოში საჩივრის განხილვის ვადების შემცირება და დაზუსტდა მონიტორინგის ჩატარების ხერხი, კერძოდ, კომისიამ აიღო ვალდებულება, რომ იხელმძღვანელებდა მოქმედი მარეგულირებელი წესების შესაბამისად.

ინტერესთა კონფლიქტი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში

ირაკლი ჩიქოვანი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე 2009 წელს დაინიშნა. მანამდე ის იკავებდა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის პოსტს. ის ასევე გახლდათ ტელევიზიის ერთ-ერთი თანამესაკუთრე. მართალია მარეგულირებელში საქმიანობის დაწყების შემდეგ ირაკლი ჩიქოვანმა დათმო საკუთარი წილი ტელეკომპანია ,,რუსთავი 2-ში", თუმცა ის დღემდე ჩართულია მედია ბიზნესში.

ჩვენს წინა ანგარიშში საუბარი გვქონდა იმ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომელიც ბატონ ირაკლი ჩიქოვანს აქვს თავის შესასრულებელ ფუნქციასთან დაკავშირებით. ის ,,რუსთავი 2-ის" ყოფილ დირექტორ გიორგი გეგეშიძესთან ერთად არის სარეკლამო სააგენტო „მაგი სტილი მედიას" თანამფლობელი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი რჩებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები სარეკლამო ჭრილისათვის დადგენილი ინტერვალების შესახებ, რითაც რეაგირების გარეშე რჩებოდა ნაციონალური მაუწყებლების მიერ, როგორიცაა ტელეკომპანია ,,რუსთავი 2" და ,,ტელეიმედი", კანონმდებლობის მოთხოვნების უგულებელყოფა. ამავ-დროულად, სარეკლამო სააგენტო „მაგი სტილი მედია" წლების განმავლობაში ორივე მაუწყებელთან თანამშრომლობდა.

2012 წლის ნოემბრის თვეში მედიაში კომუნიკაციების ეროვნული კო-მისიის ყოფილმა თანამშრომელმა გ. რატიშვილმა ფარული აუდიოჩანაწერი გაავრცელა, სადაც სავარაუდოდ აღბეჭდილია ირაკლი ჩიქოვანისა და საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი ოპერატორის წარმომადგენლის საუბარი, საიდანაც ირკვევა სხვადასხვა საკითხებთან ერთად, რომ ირაკლი ჩიქოვანი წლების განმავლობაში „ხელს აფარებდა" „კავკასუს ონლაინის" მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევას. კერძოდ, ავტორიზებული პირები ახორციელებდნენ მთელი რიგი არხების

---

[17] http://mikeladzefoundation.org/multimedia/ups/satelevizio_mediis_regulireba_saqartveloshi.pdf.

[20] მას შემდეგ რაც „სტუდია მონიტორმა" „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" ერთად ორჯერ საჩივარი შეიტანა კომისიაში მაუწყებლების მიერ კანონის დარღვევასთან დაკავშირებით, მარეგულირებელმა ჯერ გააფრთხილა და შემდეგ დააჯარიმა ორივე მაუწყებელი. თუმცა ცოტა ხანში პარლამენტმა კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა რითაც გაიზარდა სარეკლამო დროის განთავსების ოდენობა.

[21] http://www.media.ge/stories/maestroiraklichikovanism

უნებართვო ტრანზიტს, რაზედაც კომისია არ რეაგირებდა, მაშინ, როდესაც სხვა ოპერატორები (მაგ. „გლობალ ტვ“) ასეთი სახის გადაცდომისათვის კანონის სრული სიმკაცრით ისჯებოდნენ. აღნიშნულმა ჩანაწერმა კიდევ ერთხელ წამოწია ირაკლი ჩიქოვანის, როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ინტერესთა კონფლიქტის თემა.

პრობლემატურ საკითხად იქცა აგრეთვე ბატონ ირაკლი ჩიქოვანის უჩვეულოდ ხანგრძლივი შვებულება. ფარული აუდიოჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე შვებულებაში გავიდა. სარგებლობს რა კანონით გათვალისწინებული 2011, 2012 წლების და მიმდინარე წლის შვებულებით, ბატონი ირაკლი ჩიქოვანი უკვე სამი თვეა სამსახურში აღარ დადის. მართალია, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას თავმჯდომარის ხანგრძლივი შვებულება პრობლემად არ მიაჩნია, მაგრამ მაშინ, როდესაც მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე ფართო საჯარო დისკუსია მიმიდნარეობს და წლების დაგვიანებით საქართველოს მთავრობამ პირველად შექმნა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისათვის დამხმარე საბჭო, მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში ჩართული უნდა იყვნენ, არა მხოლოდ კომისიის მოხელეები, არამედ თავად კომისიის თავმჯდომარე და სხვა კომისიონერებიც.

[22] http://www.media.ge/stories/gnccistavmjdomareiraklic.
[23] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=113636

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს

- ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს პარლამენტმა შეისწავლოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის საკითხი ახლადგამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით.
- საქართველოს პარლამენტმა უნდა იმსჯელოს და შეიმუშაოს რეკომენდაციები შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით იმ საკანონმდებლო გარანტიების შექმნაზე, რომლებიც უზრუნველყოფს სამოქალაქო სექტორის მარეგულირებლის საქმიანობაში ჩართულობას და მასზე კონტროლს.
- საქართველოს პარლამენტმა უნდა ჩამოაყალიბოს კომისიის დაკომ-პლექტების იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს პოლიტიკური სუბიექტების გავლენას კომისიის საქმიანობაზე.
- კანონმდებელმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად უფლებამოსილია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; აკონტროლოს სატრანზიტო მაუწყებლების მიერ ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, როგორც ერთა-დერთი მარეგულირებელი ორგანო, მიუკერძოებელი უნდა იყოს თავის საქმიანობაში. კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება არადისკრიმინაციული ხასიათს უნდა ატარებდეს და კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უნდა ჩაერთოს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის განხილვაში და ცვლი-ლება/დამატებების შემუშავებაში, რომლებიც ოთხ მნიშნველოვან საკითხს შეეხება: ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საბჭოს ფორმირების წესი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაუწყებლის შექმნისა და ფორმირების წესი, მაუწყებელთა ფინანსური გამჭვირვალობის პრინციპები და პერმანენტული სავალდებულო ტრანზიტის (Must Carry) შემოღება.

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია კიდევ უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს და წამყვანი ფუნქცია იკისროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ხელშეწყობისათვის შექმნილ საბჭოსა თუ სამუშაო ჯგუფებში.
- კომიისიის რეგულირებაში მოქცეული სუბიექტების მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას იმოქმედოს ერთგვაროვანი და არადისკრიმინაციული მიდგომით.
- უზრუნველყოს კომისიის სხდომის პირდაპირი ტრანსლირება თავისი ვებგვერდის მეშვეობით, აგრეთვე შექმნას კომისიის სხდომის ვიდეო ან/და აუდიოარქივი.
- ვებგვერდზე განათავსოს კომისიის ყველა წევრის ბიოგრაფია.
- ჩანიშნული სხდომების შესახებ მოქალაქეთა სრულფასოვანი ინფორმირების მიზნით სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნდეს განსახილველი საკითხის მოკლე აღწერით. განახორციელოს ღონისძიებები (სოციალური რეკლამა, ბროშურის გამოცემა და ა.შ.) მომხმარებელთა უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი

THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION

www.mikeladzefoundation.org